ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი N 13

ქ.ვანი თავისუფლების N65 21 ნოემბერი 2019 წელი

12;00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ტარიელ ბარამიძე, ივანე კორძაძე, მერაბ ხურციძე, გია ხარაბაძე, თამთა დვალიშვილი, გელა ვარდოსანიძე, კობა ძაგნიძე.

საპატიო მიზეზის გამო სხდომას არ ესწრებოდნენ: გელა ჩიკვაიძე, მალხაზ ცერცვაძე, შოთა გიორგაძე, გია ოჩხიკიძე, თორნიკე ერისთავი, დავით კაკაბაძე.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირები:

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი- **ივანე მამფორია**

კომისიის სხდომის თავმჯდომარე - ტარიელ ბარამიძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსი სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე** .

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ,,ვანის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“, ბიუჯეტის პროექტის პროგრამული დანართი, 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი და არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

მომხს: ივანე მამფორია

დაადგინეს; დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგით წარმოდგენილ პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2020 წლის ბიუჯეტის პროექტი.

კომსიის წევრებმა განიხილეს წარმოდგენილი საკითხი, რომლის მიმართ იყო მოსაზრებები და შენიშვნები. ძირითადად კომისიის წევრების მხრიდან ყურადგება გამახვილდა ა(ა)იპ -ების თანამშრომლებს, რომელთა ხელზე ასაღები თანხა შეადგენს 200 ლარზე ნაკლებს, სარგო გაეზარდოთ მინიმუმ 250 ლარამდე.

აღნიშნული შენიშვნა გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერს გასათვალისწინებლად.

/დანართიN2/

დაადგინეს:

კომისიიამ განიხილა და თავისი შენიშვნა დააფიქსირა წარმოდგენილ 2020 წლის ბიუჯეტის პროექტში.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ტარიელ ბარამიძე
ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე